№ 49 6 მარტი, სამშაბათი 1866—1879 6 მარტი, სამშაბათი № 49

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ.; ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., მატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება"

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

**გაზეთის ფასი**

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურგი**, 2 მარტს. ხმა დადის, რომ სამხედრო სამინისტროს უმთავრესი ინტენდანტი, კაუფმანი, სტოვებს თავის ადგილს და ინიშნება ინტენდანტის ნაწილის გენერალ-ინსპექტორათ; მის ადგილზე ნიშნენ სკვორცოვს.

* *

**სეგედინი**, 1 მარტს. აქ წყალი გადვიდა. ქუჩებზე ნავებით დადიან და აძლევენ შემწეობის გაჭირვებულებს. შველა ძნელი შეიქნა, საშინელი ქარიშხალია.

**ვერსალი**, 1 მარტს. დეპუტატების პალატამ, ვადდინგტონის სიტყვის შემდეგ, რომელშიაც ეს ჰკიცხავდა ბროჰლი და ფურტუს, სამინისტროში მაგრამ სამართალში მიცემაზე კი უარს აცხადებდა,— დასტოვა მინისტრების სამართალში მიცემის აზრიდა გადვიდა სხვა რიგის კითხვებზე.

**პეტერბურგი**, 2 მარტს. ხმა, რომელიც დადიოდა ორს მალულის სტამბის პოვნაზე, გამართლდა. ამბობენ 60 კაცი არის დაჭერილიო.

გრაფი ლორის-მელიქოვი ტელეგრაფით გვაცნობებს, რომ ეპიდემიით ავათმყოფები სულ არ არისო. ვეტლიანკის მცხოვრებთ განჩხილვა ჯერ არ გათავებულა.

„გოლოსს" სწერენ ვეტლიაკიდამ, რომ იქ მისულა რეიტლინგერი.

**ცეტინიე**, 1 მარტს. ჩერნოგორია იცვლის სახელმწიფო წყობილებას. სენატის მაგიერ იხსნება სახელმწიფო რჩევა; აპელაციის და კასაციის პალატები წესდება.

**პეტერბურგი**, 2 მარტს. ამბობენ რომ კიევში დაჭერილებთ შორის არის ერთი არისტოკრატკა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 5 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96—62 |
| მეორე — — — — — — | 96—37 |
| მესამესი — — — — | 95—25 |
| მეოთხესი — — — — | 95—62 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 93—37 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 93—50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—39 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | —93— „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 237—75 |
| მეორე სესხის — — — | 233—55 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—7/16 | პენსი |
| ამსტერდამი — — | 112— „ | ცენტი |
| ბერლინი — — — | 200— „ | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 237— „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „— „ | — |

# ფელეტონი

## როგორი სწავლა ანუ როგორი ცოდნა გვეჭირვება ჩვენ?

(დასასრული)

### II. ცოდნანი საზრდოს მოსაპოებლათ.

საჭიროა თუ არა ის ცოდნა, რომელიც ხელს მოგვიმართავს საზრდოს მოპოებაში, ანუ უკეთ ვსთქვათ, ურომლოთაც თითქმის შეუძლებელია საზრდოს მოპოება? ამაზე, დარწმუნებული ვართ, ყველა გვიპასუხებს,—მაგას რაღა დამტკიცება და თქმა უნდაო.

ეს ხომ ასეა, ხომ ყველანი ვგრძნობთ და ვიტყვით კიდეც, რომ ეს ცოდნაც უაღრეს ცოდნას შეადგენს, მაგრამ აბა კარგათ დავაკვირდეთ ჩვენ აღზდას და სწავლას—ვეძებთ ამ ცოდნას თუ არა?

მართალია, წერა-კითხვით და არითმეტიკით ბავშვებს იმას ვასწავლით, რაც ცხოვრებაში უფრო გამოსადეგია, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მომეტებული ნაწილი დანარჩენი ცოდნისა, რომელსაც ჩვენ შკოლებში ასწავლიან, თითქმის სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს იმ სამუშაოსთან და წარმოებასთან, რომელსაც მომეტებულად მიჰსდევს ჩვენი ხალხი. და იმ მრავალ ცნობებს კი, რომელნიც პირ-და-პირ სამუშაოს და წარმოებას ეკუთვნიან, სრულიად უყურადღებოთ ვტოვებთ!

დავაკვირდეთ, რას აკეთებს, რა საქმეს მიჰსდევს მომეტებული ნაწილი ხალხისა. მოკლეთ რომ ვსთქვათ—იგი აწარმოებს და ამზადებს სხვა-და-სხვა გვარ საზრდოს, სარჩენს. ახლა საქმე იმაშია— რისგან წარმოსდგება წარმატებითი წარმოება და მომზადება ამა საზრდოსი?— რასაკვირველია იმ ცოდნისაგან, რომელიც გვასწავლის უადვილესს და უკეთესს სახსრებს ამა საზრდოს წარმოებისას, რომელიც გვასწავლის ამ საზრდოს ფიზიკურ და ხიმიკურ თვისებაებს. ეს სწავლის ნაწილი კი (აგრონომია ფიზიკა, ხიმია), რომლებზედაც დამყარებულია ყოველი ჩვენი წარმოების წარმატება, ჩვენ სასწავლებლებში სრულიად მიგდებული და დავიწყებულია...

### III. ცოდნანი შვილთა აღზდისათვის.

შვილების აღზდისათვის ჩვენში სრულებით არ ემზადებიან; ამ საგანზე ჩვენში არაფერს არ ასწავლიან მოწაფეს. საკვირველი არ არის, ვიცოდეთ რომ ბავშვების მოვლაზე დამოკიდებულია მათი სიცოცხლე და ზნეობა, და ამ საგანზე უმცირეს ცოდნასაც არ ვაძლევთ იმათ, ვინც ადრე თუ გვიან მშობლებათ გახდებიან? ერთი მიბრძანეთ ცოდვა და ქვეყნის დაღუპვა არ არის, რომ ათასის და მილლიონის ბავშვების ბედი მიგდებულია ათას-გვარ სულელურ ჩვეულებების, ადათების და უმეცრების ანაბრობაზე?..

თუ კაცმა, რომელმაც ანგარიში არ იცის, ვაჭრობას ხელი მოჰკიდა, ჩვენ გვიკვირს და გიჟს ვეძახით; რატომ ასევე არა ვფიქრობთ ჩვენს თავზედაც, როდესაც ვიტვირთებთ ხოლმე მშობლობის მოვალეობას—შ ვ ი ლ თ ა  ა ღ ზ დ ა ს,

# საქართველო

## დღიური

*** კვირას, 4 მარტს იყო ყრილობა ქალაქის რჩევისა თავის ამოსარჩევლათ; ყრილობაში დაესწრა 54 ხმოვანი; კენჭი უყარეს უფ. მ. ზ. ალიხანოვს და კ. ა. თავ. ბებუთოვს. პირველს ამოუვიდა 24 თეთრი კენჭიდა 29 შავი, მეორეს 26 თეთრი და 28 შავი. ასერომ არც ალიხანოვი და არც ბებუთოვი არ ამოირჩიეს და ქალაქი კიდევაც უდავოთ რჩება.

*** გამოვიდა მეორე ნომერი „ივერიისა“. ჯერ-ჯერობით მოვიყვანთ მხოლოდ მის შინაარს:

I. სიყვარული მკურნალობს, კომედია მოლიერისა (თარგ. დ. ყიფიანისა.

II. სახრჩობელაზედ, პატარა მოთხრობა.

III. რა ვაკეთეთ? რას ვშვრებით, ლექსი ილია ჭავჭავაძისა.

IV. ნავით მოგზაურობა ჭოროხზე, ს. ბავრელისა.

V. ცხოვრება და კანონი (დასასრული მეხუთე წერილისა) ილია ჭავჭავაძისა.

VI. ტიურკოსი კომმუნელთა შორის, მოთხრობა ალფონს დოდესი.

VII. სიზმარი, ლექსი ლევ. ცაველისა.

VIII. *** ლექსი ლევ. ცაველისა.

IX. ფიქრი და შენიშვნა, ნ. დავითიშვილისა.

X. შინაური მიმოხილვა.

XI. კორრესპონდენცია კახეთიდამ, რ. ძამრაშვილი—ც.

XII. პოლიტიკა.

XIII. სხარტული.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად თბილისში სომხურათ ითარგმნება უფ. დიმიტრი ბაქრაძისაგან დაწერილს „საქართველოს და სომხეთის ეკკლესიების აღწერასა“ რომელიც 1875 წელს თბილისის არხეოლოგიურ კომიტეტმა ცალკე გამოსცა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ხვალ თუ ზეგ უფ. დიმიტრი ბაქრაძე გაემგზავრება ბათუმისაკენ. როგორც ამასწინეთ ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული ამან უნდა გამოიკვლიოს რა პირობით ეჭირათ ადგილ-მამული ბათუმის მაზრის მცხოვრებთა ოსმალოს მმართებლობის ქვეშ.

*** თუმცა ომიანობა გათავდა, მაგრამ თფილისის მეაბანოებმა მაინც ახალი წესები არ მოშალეს. აბანოს ფასი რომელიც მათ ამ უკანასკნელს ხანებში მოუმატეს. აქამდის დაუკლებლივ დარჩა.

*** ნეტავი ვიცოდეთ რა იქნა ის ფული, რომელიც შარშან მისმა ყოვლად უსამღვდელო ეპისკოპოზმა ალექსანდრემ შეიტანა სასულიერო სემინარიაში ქართული წიგნის გამოსაცემად?

---

## წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატიოსან გაზეთში გამოაცხადოთ, რომ ის კორრესპონდენცია სიღნაღიდამ, რომელიც იყო „დროების“ № 41-ში დაბეჭდილი, ჩემი დაწერილი არ არის.

თქვენი პატივის მცემელი

სომხის მღვდელი ტერ-ელიაზე

ტერ-ასტვაწატურიანცი

სიღნაღი, 1879 წ. 3 მარტს.

# სამართალი

## ქუთაისის ოლქის სასამართლო

**ბრალმდებელი აქტი** ურიებისა, რომელთაც მოიტაცეს და მოკლეს გლეხის ქალი სარრა იოსების ასული მოდებაძე. ბრალდებულნი არიან შორაპნის უეზდის მცხოვრებნი, საჩხერის დაბისა ისხაკ მარდახის ძე, ბიჭია შამუელის ძე, შამუელ არონის ძე და მორდახ ისხაკის ძე ხუნდიაშვილნი; ისხაკ, მოშა და იაკობ აბრამის ძენი ცვენიაშვილნი; მოშა ელის ძე ცოციაშვილნი და მიხეილ აბრამის ძე ელიკიშვილი.

—

4 აპრილს 1878 წელსა, ნასადილევს, საათის სამზე, დაიკარგა მცირე წლოვანი გლეხის ქალი სარრა იოსების ასული მოდებაძე, რომელიც სცხოვრებდა თავის მშობლების სახლში, სოფ. პერევისაში შორაპნის უეზდისა, დაბა საჩხერის 15 ვერსტს იქით.

6 აპრილს, მინდორზე, რომელიც სოფ. პერევისის და დარბაიძეს შუა ძევს, იპოვეს მკვდარი სარრა მოდებაძე, გლეხის ბიჭების არჩევანა ცირციძის და საჩინო დარბაიძის ჩვენებით.

ამ შემთხვევის გამოძიებით აღმოჩნდა: 4 აპრილს ნასადილევს, სარრა მოდებაძე თავის უფროსის დით მაიით წავიდა მშობლების სახლიდამ მეზობელ გლეხის პავლე ცხადაძის სახლში.

ცხადაძის სასახლ-კაროში უფროსი და სარრასი—მაია ჰშველოდა ტურფადა ელისაბედ ცხადაძეს უმარილის გამოწვას. დედაკაცები სწვავდნენ უმარილს ცხადაძის სახლის სიახლოვეს, პატარა ტყეში, „საძაგლის-ხევის“ გზასთან, რომელიც მიდის დაბა საჩხერთან. უმარილის გამოწვის დროს იქვე იყო სარრა მოდებაძისა. სამს საათზე ნასადილევს, იმ დროს როდესაც მაია მოდებაძე და ელისაბედ ცხადაძე, ტურ-

---

ყოვლის მოუმზადებლად ამ მოვალეობის აღსრულებისათვის? იმ ათასობით უდროვო დახოცილს მომავალ მამულისშვილებს დაუმატეთ ასი ათასი ცოცხლათ დარჩენილნი ბავშვი, მაგრამ თითქმის სრულიად დარღვეულ და დასუსტებულა აგებულობით, და თქვენ კარგათ გაიგებთ იმ ვნების, რომელიც მოაქვს ჩვენთვის—მ შ ო ბ ე ლ თ ა  მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს  ა რ  მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს.

უბრალო ფიზიოლოგიური კანონების (ჩაცმა-დახურვაში, ჭამა-სმაში თუ სხვა გვარ ბავშვების მოვლაში), ჩვენ მივაყენებთ ხოლმე ბავშვებს მრავალ ავათ-მყოფობას და ამით უდროვოდ უსპობთ სიცოცხლეს როგორც თვითონ მათ, ისე მათს შთამომავლობასაც.

იგივე ითქმის ბავშვების ზნეობით აღზრდაზე. შეხედეთ ახალგაზრდა დედას, მის ყოფა-ქცევას. ამ რამდენიმე წლის წინათ იგი ჰსწავლობდა პანსიონში, სადაც მისი თავი იმსებოდა მრავალ სიტყვებით, სახელებით და რიცხვებით, იმ ცოდნაზე კი—თუ როგორ იღსნება და იზრდება ბავშვის სხეული და გონება—არაფერი! ამიტომაც ბავშურად ასრულებს თავის მოვალეობას: იკარგება, თავს-ბრუეხვევა და არ იცის რა ჰქნას იმ მოვლინებათა და შემთხვევათა შორის ბავშვის ცხოვრებისა, რომელნიც ახლა ყოველს წამს წინ უდგება.

ამ გვარ მდგომარეობაში და ყოფაში ჩავარდნილმა ახალგაზდა ქალმა აბა რა უნდა ჰქნას? ერთი გზა-ღა დარჩა, რადგანაც მას წინ არ უძევს ცხადათ დახატული საგანი და სახსარები ამ საგნამდე მისაღწევად, იძულებულია ისე მოიქცეს, როგორც სხვანი მის გარშამო მყოფნი მოქმედებენ, ან როგორც წაუჩურჩულებს მისი დაბნეული გონება. ამისთანა დედა მრავალჯერ ითხოვს ბავშვებისაგან სიმართლეს, მაშინ როდესაც თვითონ თითქმის ყოველთვის აჩვენებს მათ სიცრუვის და ყალბობის მაგალითს; მრავალ-ჯერ ემუქრება შვილებს დასჯას და არ კი ასრულებს ამ მუქარას; მუდამ არიგებს თავის შვილებს, რომ ყოველთვის მოფიქრებით მოქმედობდნენ, თვითონ კი მრავალჯერ ილანძღება და ჯავრობს სულ არაფერზე.

ახლა მიბრძანეთ, რას უნდა მოველოდოთ ამ გვარ მშობლებისაგან?—იმას, რასაც აწინდელ დროში ყველგან და ყოველთვის ვხედავთ ახალგაზდობაში უდროვო სიკვდილს, სისუსტეს, უხასიათობას, უსვინიდისიანობას, უსამართლობას, საშინელ თვით-მოყვარეობას... ერთის სიტყვით ყველაფერ ცუდსა!

იგივე უნდა ვსთქვათ ბავშვების გონების გახსნაზე, სწავლაზე. თუ ხელმძღვანელმა არ იცის რა გზითაც სდგებიან ადამიანის თავში სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებანი და მცნებანი, აბა როგორ უნდა უხელმძღვანელოს ბავშვს ცნობების შეთვისებაში?

### IV. ცოდნა მოქალაქობისათვის.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენ ქართველებს მეტის-მეტათ გვეჭირვება ამ მოალეობისათვის მომზადება. უეჭველია ჭეშმარიტი მამულის შვილი მოვალეა

ფას თხოვნით, რომელიც უმარილს სწვავდა, დაიწყეს ფიჩხის მოგროვება ცეცხლის გაღვივებისათვის, სარრა მოდებაძე გაშორდა დედაკაცებს და წავიდა იმ გზით, რომელიც მის სახლთან მიიყვანდა. ამ გზითვე, და სარრა მოდებაძის წასვლის დროსვე, გაიარა რამდენიმე ურიამ; ამით გავლის შემდეგ დაიკარგა სარრა მოდებაძისა. ორ საათის შემდეგ სარრას მამა იოსებ მოდებაძე და მისი ქალი მაია ეძებდნენ სარრას როგორც გზაზე ისე გზის მახლობლათ; და ასე ორჯელ გაიარეს გზაზე, რომლითაც სარრა შინისკენ უნდა წასულიყო, მაგრამ იმათი ძებნა ამაო შეიქნა. ამ დღესვე გლეხნი პავლე და დათა ცხადაძე და ივანე ქაპანაძე აგრეთვე ეძებდნენ და უძახდნენ სარრა მოდებაძეს მანამდის დაბინდდებოდა.

მეორე დღეს შეჰყარეს მრავალნი გლეხნი და მეზობელნი მოდებაძისა და ეძებდნენ დაკარგულს სარრას. იმავე დღეს, ე. ი. 5 აპრილს სოფ. დარბაიძის ახლოს იმ ადგილას, სადაც 6 აპრილის დილით იპოვეს მკვდარი სარრა მოდებაძისა, გაიარა რამდენიმე გლეხმა, სახელდობრ: თევდორე და სოლომონ მოდებაძეებმა, ზაქარია და თეიმურაზ დარბაიძებმა, მაგრამ ამათ არავითარი გვამი არ უნახავთ რა. მოწმებმა, რომელთაც ნახეს და იპოვეს მკვდარი სარრა მოდებაძისა, უჩვენეს, რომ სარრას გვამი ზურგზედ იდო, ერთი ხელი გულზედ ედო და მეორე მუცელზე, ფეხები ჰქონდა ღობისკენ, რომელიც ჰყოფს ყანას ტყისაგან; სარრას ტანთ ეცვა იგივე კაბა რაც თავის დაკარგვის დღეს ემოსა. გვამი და ტანისამოსი მშრალი იყო და არა ჰქონდა ნიშნები, რომ წყალში ყოფილიყო. კაბის და პერანგის წინა პირი სიგძეზე გახეული იყო. მარჯვენა ხელზე ცერისა და მაჩვენებელი თითის შუა, რბილში, და მარცხენა ხელის ზურგში მაჩვენებელი თითის სახსარში სჩანდა ორი მოდიდო იარა. სასამართლო-მედიკურ აქტიდამ სარრა მოდებაძისა გვამის გაჭრაზე, შედგენილს შორაპნის უეზდის ექიმის ბერნოსაგან სჩანს, რომ ორივე ხელებზე ცერის და მაჩვენებელის თითის შუა ეტყობა ფრიადი ნაკლულევანება რბილის ხორცისა, თითქმის სამს დიუმამდე სივრცით. მარჯვენა ხელზე იარა ჩაუწევს ცერის ძარღვსა.

ეს იარები თითქო ამოგლეჯილია რითამე, თითქო ნაკბენია; გარშემო ნაპირები აქვს უფერული, უსისხლო. ექიმების აზრით, ეს დაჭრილობა უნდა მომხდარიყო სიკვდილის შემდეგ პატარა გარეული მხეცებისა და ფრინვლისაგან. შიგნეულობის განხილვით ექიმმა ბერნომ დაინახა შემდეგი: ა) ტვინი იყო სავსე სისხლით, ბ) ყელში რაღაც დუჟი ჰქონდა, გ) ყელის შიგნითა კანი გასისხლიანებული იყო, დ) ფილტვები აბერილი იყო და გაჭრის დროს გამოვიდა ბევრი შავი, ქაფიანი სისხლი, ე) მარჯვენა და მარცხენა მხარე გულისა იყო სავსე სისხლითა, ვ) კუჭში იყო ბევრი მღვრიე წყალი. ექიმის აზრით სარრა მოდებაძისა, წყალში იყო დამხრჩვალი. რადგანაც ექიმის ბერნოს დასკვნა არ იყო თანახმა გამოძიებასთან შესახებ ადგილისა, სადაც ნახეს მკვდარი და ეგრეთვე მოწმების ჩვენეაასთან, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ სარრას დაკარგვის დღეს წვიმა არ იყო და არც თითონ მკვდარი, არც ტანისამოსი რომელიც მას ეცვა და იყო მშრალი, არ ანიშნებდენ მის დახრჩობას,-16 მაისს ხელ ახლა შეამოწმეს მკვდრის გვამი. ამ შემთხვევის გამო გუბერნიის ექიმის, ბულინსკის, შედგენილ მოწმობიდამ სჩანს, რომ მარცხენა ხელის ზურგზე იქ, საცა მაჩვენებელი თითის სახსარია, იყო ამოჭრილი ერთი უზალთუნის ოდენა ტყავი, მაგრამ ასე, რომ მარტო გარეშე კანი ტყავისა იყო მოშორებული. არც ხორცი და არც ძარღვი არ იყო ხლებული. ისე მარჯვენა ხელის ზურგზეა დიდსა და მაჩვენებელი თითის შუა იყო აცლილი ტყავი, ხორცი და ძარღვების უვნებლათ. რადგანაც გვამი დამპალი იყო, ექიმმა უარი განაცხადა გამოეცნო როდის მომხდარა ეს დაჭრილობა, ან თუ რა იყო იმის სიკვდილის მიზეზები.

ამასთან ექიმმა განაცხადა, რომ თუ ის მიიღებდა მოსაზრებაში იმ ნიშნებს, რომლებიც ნაჩვევები იყო პირველის შემოწმებით, ეს ნიშნები არ იყვნენ საკმაო იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომ მოდებაძისა დამრჩვალიყოს წყალში. იმის ფიქრით, სარრა მოდებაძისა წყალში კი არ არის დამრჩვალი, ის არის ხელით დახჩობილი. კავკასიის სამოქალაქო უწყების მედიკურ პრისუტსტვის აზრით სარრას სიკვდილი მოხდა იმისგან, რომ რაღაცამ დაუშალა ჰაერს ფილტვებში მიწევა, მაგრამ იმ ჩვენებიდამ. რომელიც არის გაჭრის აქტში, პრისუტსტვიამ ვერ შესძლო დამტკიცებით ეთქვა რისგან მოხდა სიკვდილი, წყალში დახჩობისა თუ ხელით დახჩობისაგან. თუმცა სამსაჯულ მედიკურ ექსპერტიზამ გადაწყვეტით ვერა სთქვა, რომ სარრას სიკვდილი იყო ძალა-დატანებითი და არა განუსაზღვრელი ჰაერის სინაკლულევანეზ) მაგრამ ის კი ცხადია, რომ სარრა მოდებაძის სიკვდილს დიდი კავშირი აქვს იმის დაკარგვასთან და არის ამ დაკარგვის შედეგი. მკვდრის პოვნა დარბაიძის სოფლის მახლობლათ, სადაც არც სარრა და არც მისიანები არას ოდეს არ ყოფილან, პოვნა ღობესთან მინდვრათ იქ სადაც წინადღეს გაიარეს სარრას მძებნელთა და მისი დაკარგვა ამ დროს, როდესაც იმ სოფელში გაიარეს შვიდმა ურიამ გვარწმუნებენ, რომ მცირე წლოვანი სარრა იყო მოტაცებული იქ გამვლელ ურიებისაგან და მისი გვამი დაგდებული დარბაიძის სოფელში.

(შემდეგი იქნება)

---

ვრცლათ და ღრმათ იცოდეს რა გზით და რა მიზეზისა გამო მივიდა ჩვენი მამული იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება. ამას გარდა უნდა იცოდეს რა მოეთხოვება ყოველ ქართველს იმ დროს, როდესაც მისი მამული ამ გვარ ყოფაში ჩავარდება.

ამ ცოდნას, როგორც წინა სტატიაშიაც („როგორი აღზდა გვეჭირვება ჩვენ? მოვილსენიეთ), გვაძლევს ისტორია. ამიტომაც ყოველი ქართველი მოვალეა შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ჩ ვ ე ნ ი ი ს ტ ო რ ი ა *). ისტორიასთან გეოგრაფიაც არ უნდა დავივიწყოთ, რადგანაც მართალი მოვლინება ხალხის ისტორიიდამ მხოლოდ გეოგრაფიის შეჰსწავლით გაიგები. ჩვენ იმ გეოგრაფიაზე კი არ ვამბობთ, რომელსაც ეხლაც ხმარობენ მხოლოდ ადგილის საჩვენებლათ სადაც ისტორიული მოვლინებანი სრულდებოდნენ. არა, გეოგრაფიამ უნდა მრავალი რამ აგვიხსნას, ურომლოთაც შეუძლებელია ისტორიის გაგება. გეოგრაფიამ უნდა აგვიხსნას—თუ რა გავლენა ჰქონდა მთელ ხალხზე და მის ხალხოსნობაზე ადგილის მდებიარობას; რა განსაკუთრებითი ხასიათი დაადო ამ ხალხს; როგორ მრავალჯერ მთებსა, თუ სხვა გვარ ადგილის მდებიარობამ, სრულიად შეჰსცვალეს ისტორიული მოვლინებანი და სხვა მიმართულება მისცეს მათ, როგორ დაიფარეს მათ ერთი ნამცეცა ხალხები უძლიერესი ამაოხრებელი ხალხებისაგან; რა გავლენა იქონია ადგილის მდებარეობამ ხალხის ჩვეულებაზე, ზნეობაზე კანონ-მდებლობაზე, წარმოებაზე, რჯულზეე, ენაზე და სხვა.

*) ჩვენ მეცნიერებს კი ვსთხოვთ გაისარჯონ და რაც შეიძლება მალე შესაფერი ისტორიული თხზულებანი მოგვცენ. აქ დაგვიანება აღარ შეიძლება, ეს აუცილებელად საჭიროა. (ერთი ამგვარი ისტორიული ცოდნა სხვათა შორის იყო მოყვანილი გ. წერეთლის სტატიიში—„ჩვენ და ჩვენი დროება“, (თუ ვისთან უნდა ვიქონიოთ კავშირი) რომლისათვისაც ჩვენის მხრით მას ძლიერ უმადლით... იმედი გვაქვს არ მოგვაკლდება ამ გვარი სტატიები.

დ ა ს კ ვ ნ ა. ყველა ზემო-თქმულს რომ დაუმატოთ მუზიკა და გალობა, რომელნიც გულს გაურთობენ ადმიანს მუშაობის შემდეგ, მოსვენების დროს, ჩვენ წინ გამოიხატება სრული პროგრამმა იმ უსაჭიროესის ცოდნისა, რომელიც აწ ეჭირება ყველა ქართველმა ეგრე; „მოგვეცით მცირე, მაგრამ მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა გიგ...ენიდამ, მედიცინიდამ, ფიზიოლოგიიდამ, მატემატიკიდამ, ლიტერატურიდამ, სამეურნეო ნაწილიდამ, ხიმიიდამ, ფიზიკოდამ, პსიხოლოგიიდამ, პედაგოგიიდამ, გეოგრაფიიდამ, მუზიკიდამ და გალობიდამ!...“ და გვეყოფა ამაზე ლაპარაკი.

იმაზე კი—ასრულებენ ამ პროგრამმას ჩვენი შკოლები თუ არა და რამდენად შესაძლოა შემოღებულ იქმნენ ეს საგნები ჩვენ სასოფლო და საქალაქო შკოლებში, იმაზე ცალკე მოვილაპარაკოთ.

ვ. როსტომაშვილი

# განცხადებანი

ნარდათა და წვრიმანი ვაჭრობა თამბაქოსა და პაპიროზებისა „სულთანის“ ფირმისა (უფ. ნ. მამიკონოვისა) არის შუა-ბაზარში ქურქჩიხანაში. ვინც ნარდათ დიდძალ საქონელს ჰყიდულობს, იმათ თამბაქო და პაპიროზები დადებულ ფასზე ნაკლებათ დაეთმობათ. (3—3)

## ხეხილების გაყიდვა

ბუნიბის მეიდნის ბალაგანში, ცირკის ახლო, ამ თებერვლიდამ ისყიდება სხვა-და სხვა გვარი ხეხილები იოსებ იაკობის ძის ილიაშევიჩის ყარაიაზის მამულიდან მოტანილი. ამ ხეხილების სიდიდე არის არშინ-ნახევრიდამ ერთ საჟენამდინ. თითო ისყიდება ორ აბაზათ. ეს ხეხილები დაყნულია სხვა-და-სხვა საუკეთესო ევროპიულ და აზიურ ხეებიდამ. (7—5)

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

## „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. ზარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквiани.

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაევრდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

ქუთაისში

## კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическiй начальный курсъ рус. языка для (грузинъ—შედგენილი გ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მეტს[illegible] ბულს იყიდის, ეგზემპლიარი[illegible] 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები—20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 |

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 3 მარტს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 20 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 10 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 30 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო. ფთ. | 6 | 80 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Марта 1879 г. Типографiя Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.